

დამტკიცებულია: -----

შპს საზოგადოებრივი კოლექტიური ფინანსკრეტელის დირექტორის

2014 წლის 05 ნოემბრის

79 ბრძანებით

**შპს საზოგადოებრივი კოლექტიური ფინანსკრეტელში
პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის წესი**

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების IV ან V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

მუხლი 2.

IV საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელ პროფესიული განათლების მასწავლებელს უფლება არ აქვს, ასწავლოს V საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 3. პროფესიული განათლების მასწავლებლის მიღების პირობები

პროფესიული განათლების მასწავლებლის მისაღებად შ.პ.ს საზოგადოებრივი კოლექტიური ფინანსკრეტელის (შემდეგში-კოლექტიური) დირექტორი ბრძანების საფუძველზე აცხადებს კონკურსს.

მუხლი 4.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია მუხლი 1-ში განსაზღვრულ პირს.

მუხლი 5.

პროფესიული განათლების მასწავლებლის მისაღებად გამოცხადებული კონკურსის შესახებ ბრძანებაში განისაზღვრება:

ა) კონკურსანტების მიერ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა;

ბ) დოკუმენტების წარმოდგენის ვადა;

გ) კონკურსის ჩატარების წესი (ერთერთი ჩამოთვლილთაგან: გასაუბრება, წერიტი ტესტირება, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე).

მუხლი 6. საკონკურსო კომისია

კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც შედგება: კომისიის თავმჯდომარის, კომისიის მდივნისა და/ან კომისიის წევრისაგან.

მუხლი 7.

საკონკურსო კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

მუხლი 8.

კონკურსანტების მიერ კონკურსის პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსში მონაწილე პირთაგან ვინ შეიძლება გახდეს კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ფორმდება კომისიის სხდომის ოქმის სახით.

მუხლი 9.

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და წარედგინება კოლეჯის დირექტორს შემდეგი რეაგირებისათვის.

მუხლი 10.

კოლეჯის დირექტორი საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე გამოსცემს ბრძანებას კონკურსის შედეგად არჩეულ პროფესიულ მასწავლებლებთან ხელშეკრულების გაფორმების შესახებ, რომლის შემდგომაც მათთან ფორმდება ხელშეკრულებები, კოლეჯში პროფესიული მასწავლებლის თანამდებობის დაკავების შესახებ.